Batumi Cemeteries
Подписано цифровой подписью: Batumi Cemeteries
Дата: 2019.02.27 11:30:19 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
ხელშეკრულება № 04

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 21 თებერვალი 2019 წ.

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,, ბათუმის სასაფლაოები'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ ბურკაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,პროვაიდერ-ჯი (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი დირექტორის სალომე კიკვაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: დანართში მოცემული საკანცელარიო საქონელი, პირადი ჰიგიენის და საწმენდი საშუალებების შეძენა.

2.2. კლასიფიკატორის კოდი: 22800000,30100000, 33700000, 39500000, 39800000.
2.3 საქონლის კონკრეტული სახე, CPV კოდები, ერთეულის ფასი, განისაზღვრება დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 400.5 (ოთხასი ლარი 05 თეთრი) ლარი.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 დღის განმავლობაში სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. <u>დაფინანსების წყარო:</u> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან.
5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამეურნეო განყოფილების უფროსი ლაშა ჭყონია .

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი.
6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 01 მარტის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი და სრული მოცულობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.
8.2.იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ,ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 05 აპრილის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. ბათუმი. ლუკა ასათიანის ქ.№25	ქ. ბათუმი, ი. ნონეშვილის ქუჩა 60, ბინა 71
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის სასაფლაოები“ *საიდენტიფიკაციო კოდი: 445413516*	შპს „პროვაიდერ-ჯი“ *ანგარიშის №GE13PC0193600100011836* *საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ 445427119* *მიმღების ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკის“* *ბათუმის ფილიალი* *ბანკის კოდი:MIBGGE22*
----------	----------
დირექტორი ავთანდილ ბურკაძე	დირექტორი სალომე კიკვაძე

№04 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დანართი

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	cpv კოდი
1	თხევადი საპონი ლურჯი 500 მლ	ცალი	5	1,25	6,25	33711900
2	ოფის ქლინერი სველი ხელსახოცი 120 ც	ცალი	1	3,3	3,3	33761000
3	სელპაკი ტ/ქ	ცალი	3	18	54	33761000
4	ავეჯის საწმენდი ,,პრონტო"	ცალი	5	10,25	51,25	39833000
5	იატაკის საწმენდი 750 მლ	ცალი	2	8,6	17,2	39831300
6	სმზარეულოს ღრუბელი	შეკვრა	2	2,6	5,2	39800000
7	დომესტოსი	ყუთი	1	12,2	12,2	39800000
8	ჰაერის აეროზოლი იაპონური ალუბალი	ცალი	2	2,2	4,4	39833000
9	ჰაერის აეროზოლი ოკეანე	ცალი	2	2,6	5,2	39833000
10	ჰაერის აეროზოლი ტროპიკული ხილი	ცალი	3	2,2	6,6	39833000
11	ჭურჭლის სარეცხი სითხე ,,ფეირი"	ცალი	2	2,7	5,4	39832100
12	იატაკის საწმენდი ტილო 50*70	ცალი	4	7,3	29,2	39525800
13	იატაკის საწმენდი ტილო 60*80	ცალი	1	4,5	4,5	39525800
14	მიკროფიბრი საწმენდი ტილო 16*16	შეკვრა	1	6,3	6,3	39525800
15	ბლოკნოტი A5 120 ფურცლიანი	ცალი	3	5,5	16,5	22816100
16	ბლოკნოტი TB725	ცალი	1	8,4	8,4	22816100
17	ფაილი ა4 100 ცალიანი	შეკვრა	10	3,5	35	22852100
18	ბაიდერი A4 განიერი	ცალი	30	3,9	117	22851000

19	კალამი ბურთულიანი ლურჯი	ცალი	14	0,9	12,6	30192121
	სულ ჯამი				400,5	

შპს „პროვაიდერ-ჯი“ დირექტორი /ს. კიკვაძე/

ა(ა)იპ "ბათუმის სასაფლაოები"-ს უფროსი /ა. ბურკაძე/

Подписано цифровой подписью: Batumi Cemeteries
Дата: 2019.02.27 15:46:07 +04'00'